

2017 წელი

აგრომეტეოროლოგიური ბიულეტენი

№36 დეკემბრის მესამე დეკადა



გარემოს ეროვნული სააგენტო

დეკადის ძირითადი მეტეოროლოგიური თავისებურებანი	2
სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა განვითარებისა და მიწის დეგრადაციის აგრომეტეოროლოგიური პირობები	2
2017 წლის დეკემბრის მესამე დეკადის მეტეოროლოგიური მონაცემები	3
აღმოსავლეთ საქართველო.....	4
დასავლეთ საქართველო	13



დეკადის ძირითადი მეტეოროლოგიური თავისებურებანი

დეკემბრის მესამე დეკადა ქვეყნის ტერიტორიაზე ძალზე თბილი და უხვნალექიანი ამინდით ხასიათდებოდა.

ჰაერის საშუალო დეკადური ტემპერატურა მრავალწლიურ მაჩვენებელთან შედარებით ქვეყნის ტერიტორიაზე $3-6^{\circ}$ -ით მაღალი აღმოჩნდა და შეადგინა: $4-11^{\circ}$ დასავლეთ საქართველოში, $1-8^{\circ}$ აღმოსავლეთ საქართველოში.

ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში $12-23^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში $12-20^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში $8-13^{\circ}$ -ის ფარგლებში მერყეობდა.

ჰაერის მინიმალური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში $4;-4^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში $1;-6^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში $-4, -7^{\circ}$ -ის შუალედში ფიქსირდებოდა.

ნალექები განვილილ დეკადაში დასავლეთ საქართველოში 6-8, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 2-5 დღის განმავლობაში მოდიოდა და მათი ჯამი ასე განაწილდა: 37-142 მმ (მრავალწლიური ნორმის 93-504%) დასავლეთ საქართველოში; 5-67მმ (მრავალწლიური ნორმის 67-544%) აღმოსავლეთ საქართველოში.

ძლიერი ქარი (15 მ/წმ და მეტი სიჩქარით) ქროდა 2-4 დღის განმავლობაში ქვეყნის ცალკეულ რაიონში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზამთრობისა და მინდვრის სამუშაოების ჩატარების აგრომეტეოროლოგიური პირობები

დასავლეთ საქართველოში დეკემბრის თვის მაღალი ტემპერატურული რეჟიმის შედეგად ციტრუსები ზამთრის მოსვენებით მდგომარეობაში არ გადასულა. უხვნალექიანი ამინდის გამო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შეჩერებული იყო.



აღმოსავლეთ საქართველოში საშემოდგომო ნათესებზე ვეგეტაცია შეწყვეტილია. მინდვრის სამუშაოების ჩასატარებლად დამაკმაყოფილებელი პირობები იყო.



მთიან ზონაში სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე ვეგეტაცია შეჩერებულია.



აღმოსავლეთ საქართველოს ზამთრის სამოვრებზე საქონლის ძოვებისა და ბალახის წამოზრდისათვის კარგი პირობები იყო.



2017 წლის დეკემბრის მესამე დეკადის მეტეოროლოგიური მონაცემები



სადგური	ჰაერის ტემპერატურა C°				მინიმალური ტემპერატურა ნიადაგის ზედაპირზე	ნალექები			ნალექიან დღეთა რიცხვი		დღეთა რიცხვი ქართი 15 მ/წმ და მეტი სიჩქარით	ჰაერის საშუალო დეკადური შეფარდებითი ტენიანობა, %	თოვლის აფარის სიმაღლე, სმ
	საშუალო დეკადური	გადახრა ნორმიდან	მაქსიმალური	მინიმალური		რაოდენობა მმ	რაოდენობა ნორმიდან %-ში	დღელამური მაქსიმუმი	1 მმ და მეტი	5 მმ და მეტი			
ქობულეთი	10.5	-	19	2		129	182	56	7	6			
ხულო	4.8	2.5	13	-2		37	93	12	6	3			
ზუგდიდი	9.7	3.9	21	2		142	309	29	8	7			
ქუთაისი	10.2	5.1	22	4	4	139	302	36	7	6	4		
ზესტაფონი	9.1	4.6	23	-4		141	307	39	6	6	3		
საჩხერე	6.2	5.3	19	-3		107	357	38	7	6			
ამბროლაური	4.0	3.6	12	-3		141	504	53	7	6			
ხაშური(აგარა)	2.3	3.1	12	-4		44	339	21	6	2			
გორი	3.2	3.3	13	-6	-7	30	273	16	5	2	3	88	
თიანეთი	2.5	6.2	11	-7		49	544	22	4	2			
ფასანაური	1.4	3.2	8	-7		67	479	21	4	4			
თბილისი	6.1	4.5	13	-2	-5	10	167	9	2	2		77	
საგარეჯო	7.3	6.3	18	1		6	67	3	4				
დედოფლისწყარო	6.1	6.8	19	-1		4	57	3	2				
თელავი	7.4	6.0	20	-1		20	200	9	5	1			
ყვარელი	7.4	5.4	19	-2									
ლაგოდეხი	8.2	6.6	20	1		10	100	5	2	2			
ბოლნისი	6.6	5.7	17	0	-4	10	250	6	3	1	2		
ახალციხე	2.7	5.3	13	-6	-8	17	170	9	3	1		77	
წალკა	2.7	6.2	12	-4		11	275	5	4	1			
ახალქალაქი	0.8	6.3	8	-6		5	100	2	5				





































დასავლეთ საქართველო














NDVI (Normalized Difference Vegetation Index) - მცენარეულობის ნორმალიზებული შეფარდებითი ინდექსი, ეს არის ფოტოსინთეზურად აქტიური ბიომასის მარტივი რაოდენობითი მაჩვენებელი (ჩვეულებრივ მას უწოდებენ სპეგეტაციო ინდექსს).

აღნიშნული ინდექსი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ინდექსს და გამოიყენება მცენარეული საფარის რაოდენობრივი შეფასებისთვის.

ობიექტის ტიპი	NDVI-ის მნიშვნელობა
მჭიდრო მცენარეული საფარი	0.7
მეჩხერი მცენარეულობა	0.5
ნიადაგის მოშისშლებული ზედაპირი	0.025
ღრუბლები	0
თოვლი და ყინული	-0.05
წყალი	-0.25
ხელოვნური მასალები (ბეტონი, ასფალტი)	-0.5